მალხაზ მაცაბერიძე*

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების სათავეებთან საქართველოში

რეზიუმე

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებისადმი ინტერესი საქართველოში ჩნდება აღნიშნული დისციპლინის ჩამოყალიბებასთან ერთად XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში. სტატიაში განხილულია იმდროინდელი ქართული პრესის პოლიტიკური პუბლიცისტიკა, პოლიტიკურ პარტიებს შორის მიმდინარე დისკუსია, ქართულ ენაზე ნათარგმნი ნაშრომები სახელმწიფოს, პოლიტიკის სხვადასხვა პრობლემატიკის შესახებ.

აღნიშნული მასალის განხილვა აჩვენებს, რომ იმდროინდელ საქართველოში, ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ერის ცნებისა და ეროვნული საკითხის გააზრება, პოლიტიკური იდეოლოგიების სხვადასხვა ასპექტების გაშუქება, დიდი ყურადღება ექცეოდა საერთაშორისო ვითარების ანალიზს. გაჩნდა პოლიტიკური მეცნიერების შესახებ პირველი ნაშრომის დაწერის იდეაც (გიორგი წერეთელი, 1896).

ზემოთქმულიდან შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების დაწყების შესახებ. ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად წარიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) არსებობის პერიოდში. თუმცა საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესი შეაჩერა. პოლიტიკური მეცნიერების პრობლემატიკის განხილვა მხოლოდ ემიგრანტულ წრეებში მიმდინარეობდა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, პოლიტიკა, პოლიტიკური მეცნიერება.

---

* პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შესავალი

იმ პერიოდში, როდესაც პოლიტიკური მეცნიერება ყალიბდებოდა, საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ამოცანები ჰქონდა გადასაწყვეტი. საქართველოს აღარ ჰქონდა თავისი სახელმწიფო, სახელმწიფო კი ის ინსტიტუტი იყო, რომლის შესწავლაც მაშინ პოლიტიკური მეცნიერების ძირითად ამოცანად მიიჩნეოდა. საქართველოში არ არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბება. პრინციპში, რუსეთის იმპერიას თუნდაც რომ გაეხსნა უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში, ის იქნებოდა რუსული, დაკომპლექტებული რუსი პროფესორებით და იქ ქართული პოლიტიკური მეცნიერების ფორმირებაზე ვერ ვილაპარაკებდით.

თუმცა, მაშინდელ საქართველოში პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანები, - საზოგადო მოღვაწეები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, - ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ახალი დისციპლინის - პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბებას და ესმოდათ მისი დიდი მნიშვნელობა.

პოლიტიკური პუბლიცისტიკა ქართულ პრესაში

საქართველოში პოლიტიკური ცოდნაზე მოთხოვნილების და მისი გააზრების კერებად ქართული ჟურნალ-გაზეთები გახდა, რომლის ფურცლებზეც ფართოდ იყო წარმოდგენილი პოლიტიკური პუბლიცისტიკა. იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დიდი ყურადღება ექცეოდა როგორც საგარეო პოლიტიკას, ისე შიდა პოლიტიკის საკითხებს. მიმდინარე პოლიტიკის საკითხების განხილვას ზოგჯერ თან ახლდა გარკვეული თეორიული ნააზრევის მოშველიებაც, ანდა საკუთარი მოსაზრებების გამოთქმაც. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ილია ჭავჭავაძის მიერ 1881 წელს დაწერილი „შინაური მიმოხილვა“.

ილია ჭავჭავაძე აანალიზებს „აზრთა ორ მდინარებას“ - კონსერვატიზმს და ლიბერალიზმს. ილიას თქმით, ამ მიმდინარეობათა სახელწოდებები ევროპაში ჩამოყალიბდა, მაგრამ ნებისმიერი „სიცოცხლის ღირსი ერის“ ისტორიული განვითარება მხოლოდ ამ ორი აზრთა წყობის ურთიერთბრძოლით არის შესაძლებელი. მათ მარცხნივ და მარჯვნივ „ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ“, მაგრამ

წამყვან როლს სწორედ ეს ორი „აზრის წყობა“ ქმნის. აქ ილია ჭავჭავაძე ორ საფრთხეს ხედავდა. პირველი საფრთხეა კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის არსის დამახინჯება - ეს ორი იდეოლოგია „ჭეშმარიტ“ სახეს მხოლოდ მაშინ ატარებს და თავის როლს ასრულებს, თუკი ერთი ყველა ძველის დამცველი არ იქნება, მეორე კი ყველა ძველის წინააღმდეგი და ყველა ახლის მომხრე.

საქართველოში ლიბერალიზმის უმთავრეს ამოცანად ილია ჭავჭავაძეს „დაცემული ვინაობის აღდგენა“ მიაჩნდა. მისი აზრით, საქართველოს ამ მხრივ ბევრი რამის სწავლა შეეძლო იმ ევროპელი სლავი ხალხებისაგან, რომლებიც ანალოგიურ ამოცანას წყვეტდნენ და პირველ რიგში ჩეხებს ასახელებდა.

რიგ შემთხვევებში პირდაპირ ითარგმნებოდა ნაშრომები სახელმწიფოს, სოციალური საკითხების, ზოგადად საზოგადოების შესახებ. მაგალითად, 1897 წელს „მოამბეში“ დაიბეჭდა შარლ ლეტურნოს „რა არის ომი?“. 1898 წელს „მოამბემ“ დაბეჭდა ფრანგი მეცნიერის გუსტავ ლებონის წერილი „შენიშვნები სოციალიზმზე“. მთარგმნელი იაკობ ფანცხავა აღნიშნავდა, რომ ეს მოძღვრება საქართველოშიც ვრცელდება და მკითხველმა იცოდეს „იმათი ფასი, ვინც ამ მოძღვრებას ეპოტინება“. სოციალურ საკითხს ეძღვნებოდა ლებონის წერილი „საზოგადოებისაგან დაწუნებულნი და ცხოვრებაში გამოუსადეგარნი წევრნი“, რომელიც 1899 წ. დაიბეჭდა „ივერიაში“.

თარგმანებს თან ახლდა კომენტარებიც და მთარგმნელისეული პოზიციაც. მაგალითად 1899 წ. „მოამბეში“ დაიბეჭდა ცნობილი მეცნიერის „ზომბარტის აზრი XIX საუკუნის სოციალურ მოძრაობაზე“. ზომბარტი აკრიტიკებდა მარქსის კლასობრივი ბრძოლის თეორიას, ნაციონალიზმს სამშობლოს სიყვარულისგან მიჯნავდა და კლასთა ბრძოლას ერთა ბრძოლად აცხადებდა. მთარგმნელი კი შენიშნავდა: „ ჩვენ ეს კლასიფიკაცია არ გვესმის, სამშობლოს სიყვარული და ნაციონალიზმი არიან დაკავშირებულნი“.

1904 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (N 2620) გამოქვეყნდა ვ. დუმბაძის წერილი გერმანელი გეოგრაფის, გეოპოლიტიკის ერთ-ერთი წინამორბედის ფრიდრიხ რატცელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ვ. დუმბაძე, როგორც ჩანს, მისი სტუდენტი იყო. ავტორის თქმით, „რატცელი ბევრს ლაპარაკობდა კათედრიდანაც და თავის ნაწერებშიაც ქართველების პატიოსნებაზე (მე ვფიქრობ, გულუბრყვილობა უფრო შეგვფერის), სიმამაცესა და ახოვნებაზე“. ვ. დუმბაძის თქმით, ფ. რატ-

ცელის მიერ შექმნილმა ანთროპოგეოგრაფიამ „მარტო გეოგრაფიულ მეცნიერებას კი არა, ისტორიულსა და პოლიტიკურსაც კი დიდი სამსახური გაუწია“.

გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ 1904 წ. სექტემბერში გამოაქვეყნა მიხაკო წერეთლის (სანგალას ფსევდონიმით) ვრცელი ინფორმაცია ჟენევაში გამართულ ფილოსოფოსთა კონგრესის შესახებ. აღნიშნულია, რომ მოხსენებით გამოვიდა ვილფრედო პარეტო და განხილულია მისი მოხსენება.

დისკუსია პოლიტიკურ პარტიებს შორის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბდა პოლიტიკური პარტიები, რომელთა შორის დიდი დებატები გაიშალა პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე ძლიერი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მარქსიზმის იდეოლოგიურ პოზიციაზე იდგა და მიაჩნდა, რომ პოლიტიკის შესახებ მეცნიერული ცოდნის მატარებელი იყო.

1890-იანი წლებიდან ფართოდ გაიშალა დისკუსია ეროვნულ საკითხზე პატრიოტულად განწყობილ ჟურნალ-გაზეთებსა და კოსმოპოლიტურ პოზიციაზე მდგარ „კვალს“ შორის.

საქართველოში დიდი ინტერესი გამოიწვია ერნესტ რენანის მიერ 1882 წლის 11 მარტს წაკითხულმა მოხსენებამ „რა არის ერი?“. მასში რენანი შეეცადა ერის განსაზღვრების ჩამოყალიბებას. რენანის მოხსენება ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ მაშინვე თარგმნა და დაბეჭდა („ივერია“, 1882 N 3, გვ.103-129), აღსანიშნავია, რომ ამ მოხსენების ახალი თარგმანი „ივერიამ“ 1901 წ. 20 თებერვალსაც გამოაქვეყნა. ამ ორი თარგმანის შედარება საინტერესოა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ფორმირების თვალსაზრისითაც.

პოლიტიკის შესახებ სახელმძღვანელოს დაწერის იდეა

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **გიორგი წერეთელი** (1842-1890) 1896 წელს მიზნად ისახავდა სტატიების სერიის გამოქვეყნებას, რომელიც, განხორციელების შემთხვევაში, პირველი ქართული სახელმძღვანელო იქნებოდა პოლიტიკის შესახებ. გიორგი წერეთლის თქმით, „პოლიტიკა არის მეცნიერება სახელმწიფო ცხოვრე-

ბისა, ესე იგი მისი პირობების, მიზნის, მიმართულების, მოქმედების და სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების შესწავლა“. თუმცა მას ყურადღება საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ჰქონდა გადატანილი.

1896 წელს პოლიტიკის მეცნიერების შესახებ წერდა:

„სიტყვა პოლიტიკა წარმოებს ბერძნულიდან Polis (პოლის) - ქალაქი. ძველ საბერძნეთში ყოველი ქალაქი თავის გარემო ადგილებით და სოფლებით შეადგენდა მთელ სახელმწიფოს და მაშინდელი საბერძნეთის მეფე, სახელდობრ, მემკვიდრეობით აღჭურვილი ქალაქის მოურავი იყო. აქედან Polites (პოლიტეს) - მოქალაქეთა კრებას, ანუ სახელმწიფო კრებას შეადგენდა.

Politika (პოლიტიკა) ნიშნავდა საქალაქო, ანუ სახელმწიფო ურთიერთობას. ჩვენ დროში პოლიტიკა არის მეცნიერება სახელმწიფო ცხოვრებისა, ესე იგი მისი პირობების, მიზნის, მიმართულების, მოქმედების და სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების შესწავლა.

ჩვენც თანახმად ამ განმარტებისა ვეცდებით ჩვენს პოლიტიკურ ქრონიკებში შეძლებისამებრ დავანახოთ მკითხველებს, თუ რა მდგომარეობაში არიან დღევანდელი სახელმწიფონი, ვინც კი გამოსულან მსოფლიო ასპარეზზე ისტორიულ მოქმედებისათვის, რა მისწრაფება აქვთ იმათ, როგორ დამოკიდებულებაში არიან ისინი, როგორი განწყობილება აქვთ იმათ ერთმანეთ შორის და რამდენად დამოკიდებულია მათ განწყობილებაზე ერთა წარმატება და იმათი ბედისწერა...“ („კვალი“, 1896, N 38, გვ.670).

სამწუხაროდ, ამ გეგმის შესრულება გ. წერეთელმა ვერ მოახერხა. გამოაქვეყნა ჩაფიქრებული სტატიების სერიიდან მხოლოდ ორი სტატია: „პოლიტიკა“ და „მაკიაველიზმი“.

პოლიტიკურ მეცნიერებაში პირველი ქართული სახელმძღვანელოს დაწერის მცდელობა ნოე ჟორდანიას ეკუთვნის. ემიგრაციაში მყოფმა, მან 1926 წელს გამოაქვეყნა საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომი „პოლიტიკა“.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში პოლიტიკის შესახებ მრავალი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე წერდა. შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების დაწყების შესახებ. ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად წარიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) არსებობის პერიოდში.

თუმცა, რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციამ და საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ ჩვენ ქვეყანაში პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესი შეაჩერა. პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა საკითხების განხილვა მხოლოდ ქართულ ემიგრანტულ პრესაში მიმდინარეობდა.

პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ორი პირობის არსებობაა საჭირო: ა/ ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესაძლებლობა; ბ/ აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა. ეს ორი პირობა მხოლოდ დემოკრატიული მმართველობის დროს არსებობს.

საბჭოთა კავშირში არც ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესაძლებლობა იყო და არც აზრის თავისუფლად გამოთქმისა, ამიტომ პოლიტიკური მეცნიერება არც არსებობდა. პოლიტიკის შესახებ ბევრი იწერებოდა, პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებობდა მთელი რიგი დისციპლინები, მაგრამ მათი შინაარსი იდეოლოგიზირებული იყო - ემსახურებოდა არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც თავის ოფიციალურ იდეოლოგიად მარქსიზმ-ლენინიზმს აცხადებდა.

საქართველოში, ისევე როგორც მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა ქვეყნებშიც, პოლიტიკური მეცნიერების არსებობისა და განვითარების პირობები მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის დაცემის და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაჩნდა.

ლიტერატურის სია

- დუმბაძე ვ. ფრიდრიხ რატცელი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებაში - „ცნობის ფურცელი“, 1904, N 2620, გვ.2-3
- ესომ. მოსე ჯანაშვილი. სიცოცხლე და სიკვდილი ეროვნებისა (ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილი ლებონის წერილის შინაარსი) – „ივერია“, 1894, N 79, გვ.1-2.
- ლ-ძე. პროფესორ ზომბარტის აზრი მე-19 საუკუნის სოციალურ მოძრაობაზე - „მოამბე“, 1892, N 2, განყ. II, გვ.37-50
- ლეტურნო შარლ. რა არის ომი - „მოამბე“, 1897,N 1, განყ. II, გვ.23-40
- ჟორდანია ნოე. პოლიტიკა. პარიზი, 1926
- რენანი ერნსტ. რა არის ერი - „ივერია“, 1901, N 39, გვ.2-3; N40, გვ.2-3; N 41, გვ.1-3; N 42, გვ.1-3
- წერეთელი გიორგი. პოლიტიკა - „კვალი“, 1898, N 49, გვ.801-803
- წერეთელი გიორგი. მაკიაველიზმი - „კვალი“, 1897, N 16, გვ.318-319
- წერეთელი მიხაკო (სანგალა). ფილოსოფოსთა მეორე საერთაშორისო კონგრესი ჟენევაში - „ცნობის ფურცელი“, 1904, N 2613, გვ.2-3
- ჭავჭავაძე ილია. შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მაისი - ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. პ. ინგოროყვას რედაქციით. ტომი V. საქართველოს მატიანე. თბილისი, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1955, გვ.90-91

Malkhaz Matsaberidze

At the beginnings of the Contemporary Political Science in Georgia

Abstract

With the establishment of the political science as a discipline of academic research Georgian scientists paid special attention to it at the end of the 19th and the beginning of the 20th century. The article deals with those-days political essays of press materials, ongoing debates among different political parties and translations of works dedicated to different aspects of the politics.

The discussion of the above-mentioned materials reveals that in those days Georgia, considering the existing circumstances in the country, comprehension of the concept of a nation and national ideas was of outmost importance. The different aspects of political ideologies should be particularly highlighted and a special attention should be paid to the analysis of international situation. The idea of creating first work on political science emerged (Giorgi Tsereteli, 1896).

The above-mentioned points to the fact of emergence of political science in Georgia. This process was further intensified during the existence of the Democratic Republic of Georgia (1981-1921). Although, the imposition of the Soviet rule in Georgia hindered the process of formation of political science in Georgia. The issue of political science was actively debated in the emigrant circles only.

Keywords: Georgia, Politics, Political Science.